

ნიადაგების საველე კვლევა თანამედროვე მეთოდებით

ელენე ნიკოლაიშვილი

ელ-ფოსტა: elene.nikolaishvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 14, თსუ, მე-2 კორპ., თბილისი, 0179, საქართველო

ნიადაგების თანამედროვე კლასიფიკაციისათვის საჭირო გახდა ჩატარებულიყო ნიადაგების თანამედროვე საველე კვლევა. ფ ა ო-სა და გერმანული სტანდარტების მიხედვით შეიქმნა „ნიადაგის აღწერის, კლასიფიკაციის და შეფასების“ სახელმძღვანელო.მისი საშუალებით შესაძლებელი გახდა საქართველოში უახლესი მეთოდებით ჩატარებულიყო ნიადაგების საველე კვლევა.

კვლევის მთავარი არსი არის კოდირების თანამედროვე სისტემა,რომლის საშუალებითაც საველე პირობებში მოპოვებული მასალა განთავსდება ნიადაგების საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში.

კოდირების ათვისება აუცილებელი ეტაპია იმ სამუშაოების შესასრულებლად, რასაც საქართველოს ნიადაგების ხარისხობრივი შეფასება ჰქვია და რომელიც განხორციელდა გერმანელი კოლეგების დახმარებით და ხელშეწყობით. მიღებული მონაცემების საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში განთავსების შემდეგ ხდება მსოფლიო ნიადაგური რესურსების რეფერეტულ ბაზაში (WRB for soil Resources) საქართველოს ნიადაგების წარდგენა.

WRB წარმოადგენს ნიადაგების საერთაშორისო კორელაციაში დამაკავშირებელ ხიდს სხვადასხვა ქვეყნის ნიადაგმცოდნეებს შორის.ის არ ცდილობს შეცვალოს ეროვნული ნიადაგური კლასიფიკაციები, რომლებიც დეტალურად არიან შესწავლილნი და ასახავენ ეროვნული ნიადაგური საფარის თავისებურებებს. ის მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ნიადაგმცოდნეების საკომუნიკაციო ენაა,რომლის არ არსებობის შემთხვევაში გაჭირდება მსოფლიო მეცნიერებს შორის ურთიერთობა.